№ 242 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

ოფიციალური გაზეთი — ნელიწადი მესამე

ფასი 10 მან. სამშაბათი, ოქტომბრის 26 1920 წ.

მთავრობის მოამბე, „ოფიციალური გაზეთი“
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე ნ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

სახელმწიფო დრამის თეატრი.

(ოფიცი არტისტიული)

ხუთშაბათს, ოქტომბრის 28-ს

დავით კლდიაშვილის პიესები

„დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“

ახალი დეკორაციებით, ტანისამოსით და მიზანსცენებით.

დასაწყ. სი საღამოს 8 საათზე.

936 2—1

სახელმწ. თეატრი.

26 ოქტ. პარმენი.

27 ოქტომბერს

აგესალომ და ეთერი

28 ოქტომბერს მეფის სასოლე.

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

წარმოდგენის დროს შესვლა დარბაზში აკრძალულია.

942 1—1 ოპერის დირექტორი ს. ი. ევლახიშვილი.

რესპუბლიკის საკრედიტო დაწესებულებებს.

თანახმად მთავრობის 14 ოქტომბრის დადგენილებისა ფინანსთა სამინისტრო უცხადებს ყველა რესპუბლიკის დაწესებულებებს:

1) რუსეთის ბანკების განყოფილებები ვალდებულნი არიან დეკემბრის 15-დე 1920 წ. გამოყონ ძირითადი თანხები განყოფილებებისა, წარმოადგინონ ბანკების აქციონერთა დადგენილებანი განყოფილებების შესახებ და წესდებები. თუ 15 ქრისტეშობისთვემდე ზემოაღნიშნული განკარგულება არ იქნება შესრულსბული, რუსეთის ბანკების განყოფილებანი დაუყონებლივ იქნებიან დახურულნი.

2) საკრედიტო დაწესებულებებს ევალებათ დაუბრკოლებლივ გაანადღონ ძველი მიმდინარე ანგარიშები, გაცემული ჩეკები და ტრატტები და გაასწორონ ყოველი ანგარიშები რუსეთის ყოფილ სახელმწიფო ბანკის კანტორასთან. საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც ამ მუხლს დაარღვევენ იქნებიან დახურულნი.

3) ბანკები, რომლებიც მიიღებენ სესხს საქართველოს სახელმწიფო ბანკიდან ვალდებულნი არიან გაცემულ სესხზედ აიღონ 12% წლიური სარგებელი და 2% საკომისიო თვიურად (სულ 36% წლიურად).

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის
თანამდებობის აღმასრულებელი ს. ავალიანი.

960 1—1

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის

არა ჩვეულებრივი კრება

დანიშნულია კვირას, 14 ნოემბერს დილის 11 საათზე.

პალატის ბინაზე (ეროვნულ საბჭოს ქუჩა № 11).

განსახილველი საგნები:

1. ტფილისის კომერციულ სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს წევრთა არჩევა.
2. ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის თხოვნა.
3. პალატის განყოფილების დაარსება ბათომში და ინსტრუქციის განხილვა.
4. დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა ბათომის განყოფილებისა და სხვა საჭიროებისათვის.

თუ წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო კრება არ შესდგა, სამაგიერო დანიშნულია მეორე დღეს, საღამოს 6½ საათზე. ეს კრება შესდგება მიუხედავად დამსწრე წევრთა რიცხვის რაოდენობისა

961 3—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

შინაგან საქმეთა მინისტრისა.

22 ოქტომბერი, 1920 წ. № 61.

ინიშნება: მოქალაქე სერგო გრიგოლის ძე წერეთელი საქართველოს დეპეშათა სააგენტოს დირექტორის ამხანაგად.

მინისტრი ნ. რამიშვილი.

—

სახელმწიფო ბანკის მმართველისა.

16 ოქტომბერი, 1920 წ., № 1436.

დაინიშნა: ბაგრატი ბეგლარის ძე ქურული სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების მთავარი მოლარეთ.

მმართველი ი. ლორთქიფანიძე.

—

საქართველოს სენატის თავმჯდომარისა.

21 ოქტომბერი, 1920 წ. № 36.

ევალება: სენატის თარჯიმანის თანამდებობის დროებითი აღსრულება საქართველოს სენატის კანცელარიის მოხელეს თამარ დიმიტრი მეტრეველის ასულს 1920 წ. ოქტომბრის 21-დან.

დათხოვნილია: სამსახურიდან საქართველოს სენატთან არსებული საკოდიფიკაციო განყოფილების შიკრიკი გრიგოლ საყვარელიძე სამსახურისათვის უვარგისობის გამო 1920 წ. ოქტომბრის 21-დან.

№ 37.

ეძლევა შვებულება: საქართველოს სენატის კანცელარიის მოხელეს მარიამ დავითის ასული თარხან-მოურავისას მისი ავადმყოფობის გამო ერთი თვის ვადით, ოქტომბრის 16-დან, ჯამაგირის მიცემით.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე
დ. ხელთუფლიშვილი.

—

იუსტიციის მინისტრისა.

20 ოქტომბერი, 1920 წ., № 374.

წარგზავნოს: სასამართლოს გამომძიებელთა წარმოებაში უმოძრაოდ მყოფ საქმეების გადამსინჯავ კომისიაში საგანგებო საქმეთა გამომძიებელთან დროებით მივლინებული კომისიის წევრი ალექსანდრე გრიგოლის ძე გრიქურავი ამა წლის ოქტომბრის 19-დან.

№ 375.

განთავისუფლებულია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწე მერი სარდიონის ასული ამირეჯიბი-იშხნელისა ამა წლის ოქტომბრის 15-დან.

№ 376.

გაუქმდეს: მღვდლების თანამდებობანი რესპუბლიკის სეპყრობილეებში მიმდინარე წლის ოქტომბრის 20-დან.

№ 377.

განთავისუფლებულია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის შტატ გარეშე დაქირავებული მოხელე გიორგი მალაქიას ძე თურმანიძე ამა წლ. ოქტომბრის 21-დან.

იუსტიციის მინისტრი ნ. არხენიძე.

საქციზო სამმართველოს უფროსისა.

№ 40.

დაინიშნენ: დროებით თამბაქოს ქარხნის კონტროლიორის თან. აღმასრ. ტფილისში: 1) დავით ნიკოლოზის ძე მესხი 16 მარიამობისთვიდან 1920 წ., 2) შალვა ნიკოზის ძე ბუაჩიძე 19 მარიამობისთვიდან 1920 წ. და 3) ნიკოლოზ იობის ძე ინაშვილი 21 მარიამობისთვიდან 1920 წ.

№ 41.

დათხოვნილია: თანახმად თხოვნისა, 1920 წ. ენკენისთვის 1-დან აქციზის დამხედველი ბათომში იუსუფ ეფენდი კიკავა.

№ 43.

დაინიშნა: სოფიო დგებუაძის ასული სოხუმის ოლქის აქციზის ინსპექტორის კანცელარიის რეგისტრატორად 10 ივლისიდან 1920 წ.

№ 44.

დათხოვნილია: თანახმად თხოვნისა, 1920 წ. ენკენისთვის 19-დან აქციზის სამმართველოს საქმის მწარმოებლის თანაშემწე იულია აბელის ასული იაშვილი.

№ 45.

დათხოვნილნი არიან: თანახმად თხოვნისა, ენკენისთვის 1-დან 1920 წ. ტფილისის მე-4 ნაწილის აქციზის ინსპექტორის კანცელარიის რეგისტრატორად ელისაბედ დავითის ასული რუსიშვილი და ამავე კანცელარიის შიკრიკი ელისაბედ ოვეზის ასული ყიფიანი.

№ 47.

დათხოვნილია: თანახმად თხოვნისა, ენკენისთვის 1-დან 1920 წ. ტფილისის 4 ნაწილის აქციზის ინსპექტორის კანცელარიის შიკრიკი ირაკლი ივანეს ძე ყაზბეგი.

№ 48.

დაინიშნა: სოფიო სიმონის ასული ქუშაშვილი ტფილისის მე-4 ნაწილის აქციზის ინსპექტორის კანცელარიის შიკრიკათ 1920 წ. 1-ლ ენკენისთვიდან.

№ 50.

დაინიშნა: დავით სამსონის ძე თოლორაია თამბაქოს ქარხნის კონტროლიორად ზუგდიდში 1920 წ. ენკენისთვის 16-დან.

№ 52.

დათხოვნილია: თანახმად თხოვნისა, 1920 წ. ენკენისთვის 1-დან ტფილისის 1 ნაწილის აქციზის ინსპექტორის კანცელარიის შიკრიკი სავა მოისოვი.

№ 53.

დაინიშნა: ტფილისის 1 ნაწილის აქციზის ინსპექტორის კანცელარიის შიკრიკათ მარიამ სვიმონის ასული ჰოპოვისა 1920 წლ. ენკენისთვის 1-დან.

№ 55.

დათხოვნილია: სამსახურიდან, თანახმად თავის თხოვნისა საქციზო სამმართველოს რეგისტრატორი ნინო ალექსანდრეს ასული შაპოშნიკოვისა პირველ ოქტომბრიდან 1920 წ.

№ 56.

დაინიშნა: აქციზის დამხედველად ქ. ტფილისში ამა წლის ენკენისთვის 11-დან აკაკი ანტონის ძე იმედაშვილი.

№ 59.

გამოირიცხულია: თამბაქოს ქარხნის კონტროლიორთა სიიდან იოსებ ნიკოლოზის ძე ჯანელიძე 1 ღვინობისთვიდან 1920 წლ.

მისი ტფილისის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ დანიშვნის გამო.

საქციზო სამმართველოს უფროსი
სპ. ბაქრაძე.

—

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის უფროსისა.

22 ოქტომბერი, 1920 წ., № 52.

გამწესებული არიან: ყოფილი ფოსტალიონი იოსებ შენგელია და მოქალაქენი მიხეილ კეზელი, გარეგინ ტერ-პეტროსოვი მეორე კატეგორიის ფოსტალიონებათ: შენგელია დედოფლის-წყაროში, კეზელი ახალციხეში, ტერ-პეტროსოვი გორში. ყოფილი მოხელე ვლადიმერ გრიგორენკო 4 ხარისხით ბათომში. კანდიდატი პეტრე დათიშვილი 6 ხარისხის მოხელეთ თელავში. შენგელია, გრიგორენკო და დათიშვილი 6 ოქტომბრიდან, დანარჩენი 11 ოქტომბრიდან

დანიშნულნი არიან: ფოსტალიონები: ახალქალაქის პეტრე თამარაშვილი და ახალციხის სიმონ მამუკაშვილი 6 ხარისხის მოხელის თანამდებობის აღმასრულებლად არტაანში 6 ოქტომბრიდან.

გადაყვანილნი არიან. ფ. ტ. მოხელეები: ტფილისის ტელეგრაფის კანტორის 1 ხარისხის მოხელე თედორე კიუმელი ტფილისის ფოსტის კანტორაში, 5 ხარ. თამარა თოფურია-კანდელაკისა გორში, 4 ხარ. ნინო პროკოფიევი—მანგლისში და ვიქტორ გველესიანი—ჭიათურაში. თელავის 6 ხარ. ზინაიდა თხინვალელი თბილისის ტელეგრაფის კანტორაში, კოჯორის 6 ხარ. მოხელე ქალები: პელაგია ელიაზარაშვილი, თამარ ლაზარიშვილი და ნინო ათაევი ტფილისის ტელეფონის ქსელში ფოსტალიონები: ბათომის ბენედიქტე ჯიშკარიანი—ბაღდადში, გაგრის ანეპოდისტე უჩამეიშვილი და გუდაუთის ანტონ ბუკუჩავა—ბათომში, კოჯორის ნიკოლოზ პამბუკაშვილი ტფილისის ფოსტის კანტორაში. კანდელაკი II ოქტომბრიდან. კანდელაკი, პროკოფიევი, გველესიანი, ჯიშკარიანი, ბუკუჩავა თანახმად თხოვნისა, დანარჩენნი სამსახურის სასარგებლოდ.

დათხოვნილნი არიან სამსახურიდან: ფ.-ტ. მოხელენი: ტფილისის ტელეფონის ქსელის 6 ხარისხის ბარბარე მამამთავრიშვილი, ახალციხის 5 ხარ. ანნა ხიზანიანი, ზესტაფონის 5 ხარ. კალისტა მაჭავარიანი და სამმართველოს კანცელარიის მოხელე ვასილ გეგეჭკორი; გეგეჭკორი და მამამთავრიშვილი 1 ოქტომბრიდან, მაჭავარიანი 6 ოქტომბრიდან, ხიზანიანი 26 სექტემბრიდან. ყველანი თანახმად თხოვნისა.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება.

მთავრობაში.

უკანასკნელი დადგენილებანი.

განათლების უწყების მოსამსახურეებმა ნორმის ზევით მუშაობისათვის მიიღონ დამატებითი ჯილდო არსებულ დეკრეტების თანახმად.

— „ნახშირას“ ყოფილ სტიპენდიანტს მ. ქაჯაიას გაუდიდდეს სტიპენდია და 1000 მანეთის ნაცვლად ა. წ. ივლისიდან მიეცეს 2000 მანეთი.

— მოწონებულ იქნეს დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულებისათვის კრედიტის გადიდების შესახებ. ეს დეკრეტი დამფუძნებელ კრებას გადაეცეს.

— აიკრძალოს სახელმწიფოს საზღვრებიდან საკერი მანქანების გატანა.

შრომის სამინისტროში

ჯამაგირების გათანასწორება.

სავაჭრო-სამრეწველოებში მოსამსახურეთა კოოპერატიულ სექციის ბიურომ იშუამდგომლა სატარიფო პალატის წინაშე, რომ ქალაქ ტფილისის კოოპერატივებში მოსამსახურეთა ჯამაგირები გაუთანასწორონ კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირის მოსამსახურეთა ჯამაგირს.

ჯამაგირების მომატების შესახებ.

შრომის სამინისტრომ შრომის კომისარიატებსა, რწმუნებულებს და მომრიგებელ კამერებს გაუგზავნა ცირკულარი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: თუ სატარიფო პალატის დადგენილება ჯამაგირების მომატების შესახებ არ სრულდება და თუ ამის შესახებ მუშები მოგმართავენ თქვენ საჩივრით ასეთი დადგენილების გამოცემისაგან არა უგვიანეს ორი თვისა, მაშინ იმათ გადიდებული ჯამაგირი უნდა მიეცეთ დღიდან დადგენილებისა და თუ მათ საჩივარი ამ დადგენილების გამოტანიდან ორი თვის შემდეგ შემოიტანეს, მაშინ მომატება უნდა მიეცეთ განცხადების დღიდან.

კანონ-პროექტი მოხელეთა პასუხისმგებლობის შესახებ.

იუსტიციის სამინისტროსთან არსებულმა კანონთა გადამსინჯავმა კომისიამ დაამუშავა პროექტი კანონისა მოხელეთა პასუხისმგებლობის შესახებ სისხლის და სამოქალაქო სამართლის წესით.

თანახმად კანონ-პროექტისა თანამდებობრივ დანაშაულის საქმეები განხილული უნდა იქნეს სისხლის სამართლის წარმოების წესების საერთო წესისამებრ ქვემო ჩამოთვლილ გამონაკლისით:

1) თანამდებობრივი დანაშაული ექვემდებარება ოლქის სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. იმ ადგილებში, სადაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შემოღებული არ არის, თანამდებობრივი დანაშაული განხილულ უნდა იქნეს ოლქის სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის მიუღებლად. 2) საზღვარ გარეთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სამსახურში მყოფნი პირნი რესპუბლიკის გარეშე ჩადენილ თანამდებობრივ დანაშაულისათვის გასამართლებულ უნდა იქნეს ტფილისის ოლქის სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. 3) გარდა დამფუძნებელ კრების, პარლამენტის ან მთავრობის წევრებისა, საერთო და სამომრიგებელო სასამართლო დაწესებულებათა მოსამართლეებისა, ნაფიც მსაჯულებისა, გამომძიებლებისა და საპროკურორო ზედამხედველობის პირთა, ყოველ მოხელის თანამდებობრივ დანაშაულის გამო სისხლის სამართლის დევნა უნდა აღიძრას იმ ოლქის სასამართლოს პროკურორმა, რომელსაც საქმე ექვემდებარება. კერძო პირთა საჩივრები და განცხადებანი, სახელისუფლო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა ცნობები და მოხსენებანი ისეთ თანამდებობრივ დანაშაულის შესახებ, რომლისათვის სასჯელი სასამართლოს წესით უნდა იქნეს დადებული, აგრეთვე თვით მოხელის მიერ თავის თანამდებობრივ დანაშაულის აღიარება უნდა გაეგზავნოს სათანადო ოლქის სასამართლოს პროკურორს, ან საპროკურორო ზედამხედველობის უახლოესს პირს, რომელმაც იგი უნდა გადასცეს სათანადო პროკურორს. დამფუძნებელ კრებისა, პარლამენტისა ან მთავრობის წევრის თანამდებობრივ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის წესით დევნა შეიძლება აღძრულ იქნეს მხოლოდ დამფუძნებელ კრების ან პარლამენტის დადგენილებით. კერძო პირთა საჩივრები და განცხადებანი და სახელისუფლო დაწესებულებათა და თანამდებობათა პირთა ცნობები და მოხსენებანი, დამფუძნებელი კრების, პარლამენტის ან მთავრობის წევრის მიერ თანამდებობრივ დანაშაულის ჩადენის შესახებ უნდა შეტანილ იქნეს დამფუძნებელ კრების ან პარლამენტის პრეზიდიუმში. სისხლის სამართლის წესით დევნას სენატის თავმჯდომარის, მის ამხანაგის, და სენატორების წინააღმდეგ აღძრვას საქართველოს სენატორების საერთო ყრილობა მომრიგებელ მოსამართლეთა, ოლქის სასამართლოს წევრთა, მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის და სხვათა წინააღმდეგ კი სისხლის სამართლის დევნას აღძრავს საქართველოს სენატის საკასაციო დეპარტამენტის შეერთებული საკრებულო. საპროკურორო ზედამხედველობის პირი თანამდებობრივ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის წესით დევნას აღძრავს იუსტიციის მინისტრი. თანამდებობრივ დანაშაულისათვის ყველა მოხელე, დამფუძნებელ კრების ან პარლამენტის წევრის გარდა, სისხლის სამართალში უნდა მიეცემულ იქნეს სასამართლოს პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის მიერ. დამფუძნებელ კრების ან პარლამენტის წევრი თანამდებობრივ დანაშაულისათვის სამართალში უნდა მიეცეს დამფუძნებელი კრების ან პარლამენტის დადგენილებით. საქმე დამფუძკრების ან პარლამენტის წევრის შესახებ პროკურორის დასკვნით უნდა წარედგინოს იუსტიციის მინისტრის საშუალებით დამფუძნებელ კრებას ან პარლამენტს. დადგენილება თანამდებობრივ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის წესით დევნის აღძვრისა, სასამართლოში მიცემისა ან ასეთ საქმის მოსპობისა, უნდა ეცნობოს ბრალდებულის უფროს, ან იმ დაწესებულებას, სადაც ის მსახურობს. მასვე ეცნობება აგრეთვე სასამართლოს საბოლოო განაჩენი. მომქმედ კანონით დადგენილი წესი სადისციპლინო სასჯელთა დადებისა ძალაში დარჩეს. სარჩელი იმ ვნებისა და ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც თანამდებობრივ დანაშაულით არის გამოწვეული ექვემდებარება სამოქალაქო სამართლის საერთო წესს. საჩივარი უნდა აღძრულ იქნეს ექვსის თვის განმავლობაში. კანონ-პროექტი დამყარებული იქნება მომქმედ კანონების იმ პუნქტებზე, რომლებიც უნდა შეიცვალოს ახალ კანონის შემოღებით. აღნიშნული კანონ-პროექტი მოიწონა იუსტიციის მინისტრმა და იგი განსახილველად მთავრობას გადასცა.

გაზ. „ტანი“ საყართველოში სოც. დელეგაციის შესახებ

გაზეთ „ტან“-ში მოთავსებულია. შემდეგი წერილი საქართველოში სოც. დელეგაციის მოგზაურობის შესახებ:

საქართველოში დასავლეთ ევროპის სოციალისტთა ჩასვლა დიდ მოვლენად შეიქმნა ამიერ-კავკასიის უკანასკნელ თვეების ცხოვრებაში. სოციალისტთა დელეგაცია ჩავიდა საქართველოში ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციების მოწვევით. დელეგაციაში შედიოდა ფრანგებიდან: რენოდელი, ინგლესი, მარკე; ბელგიელებიდან: ემილ ვანდერველდე, ჰიუსმანი და დე-ბრიუკერი; ინგლისელებიდან: თომას შოუ, მისს სნოუდენი და მაკდონალდი. მათ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო არა მარტო ქართველმა მუშებმა, არამედ რესპუბლიკის მცხოვრებთა ყველა კლასმა. ქალაქის საბჭოში ქალაქის თავმა მოაგონა დელეგაციას ის საფრთხე, რომელსაც განიცდიდა ბათომი ორი წლის წინად, როდესაც ენვერ ფაშას ჯარი, რომელიც ეხლა თვალსაჩინო წევრია მესამე ინტერნაციონალისა, შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში და თავის გზაზე, რასაც კი შეხვდებოდა ანადგურებდა ყველაფერს. ბათომის მოქალაქეთა მაშინდელი თავგანწირულება ეხლანდელ მათ სიხარულს თუ შეედარებაღა. მაკდონალდმა უპასუხა: ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ვიმყოფებით ჭეშმარიტ დემოკრატიის მომხრე საქართველოში. შრომის სასახლის წინ ვანდერველდემ წარმოსთქვა სიტყვა, სადაც გამოსთქვა თავისი თანაგრძნობა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხისადმი. ტფილისში, რომელიც დელეგაციის შესახვედრად განსაკუთრებით მორთული იყო, დელეგაციას მიესალმა მთავრობის საბჭოს თავმჯდომარე, ქართველი დემოკრატიის ძველი ლიდერი ნ. ჟორდანია. ჟორდანია მათ ფრანგულ ენაზე მიესალმა. „ტანს“ მოჰყავს ამ მისალმებიდან შემდეგი ადგილი: ქართველი დემოკრატია, რომელმაც აიღო რა ძალაუფლება ხელში, უტერორიზოდ და დემოკრატიული გზით შეუდგა უდიდეს პოლიტიკურ, აგრარულ და სოციალურ რეფორმების განხორციელებას. ჩვენ ბედნიერი ვართ, როდესაც ჩვენს წრეში ვუყურებთ ჩვენს მასწავლელებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომლებიც ინტერნაციონალის წარმომადგენელნი არიან. გაგვასამართლეთ და მოგვეხმარეთ, ხელს გიწვდით. ვანდერველდემ უპასუხა: საქართველო ჭეშმარიტად აღთქმის ქვეყანაა. რაც თქვენთან ვნახეთ, იმან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რენოდელმა საქართველოს სოციალისტთა შემოქმედებით მუშაობის გამო თავისი აღფრთოვანება გამოსთქვა. შოუმ შეადარა საქართველო საბჭოთა რუსეთს. ბალშევიკურმა რუსეთმა არ მისცა ხალხს თავისუფლება და კეთილდღეობა. საქართველოში კი წინააღმდეგ მოხდა, ხალხმა მოიპოვა თავისუფლება და კეთილდღეობა.

უცხოეთი

(საინფ. ბიურ. ცნობა.)

ამერიკის ეკონომიური მდგომარეობა.

„ტაიმსი“ ამერიკის ეკონომიურ მდგომარეობას საგანგებო წერილს უძღვნის. გაზეთი სწერს: მეტად საგრძნობი გახდა ომის შედეგები. მრეწველობას არ ძალუძს ომის წინეთ არსებულ კალაპოტში ჩადგომა. სიმცირე ნახშირისა, მანქანებისა, რკინის გზის ტრანსპორტის დაშლა და ხშირი გაფიცვები ცხოვრებას თანდათან აძკირებს. ამ სიძკრესთან მთავრობას ბრძოლა მეტად უძნელდება. მუშებსა და მრეწველებს შორის დაწყებულ შეთანხმებას ხელი შეუშალა მთავრობის ჩარევამ. „ტაიმსი“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შეერთებულ შტატებით ეკონომიური მდგომარეობა ანარქიას უახლოვდებაო. შრომის გენერალური ფედერაცია უარს აცხადებს საარჩევნო კომპანიაში მონაწილეობის მიღებაზე. მუშათა პარტიის უკიდურესი წრეები, რომელნიც უმთავრესად უცხოელებისაგან შესდგება, ტერორისტულ ტენდენციებს იჩენს. მუშათა სოფლო-სამეურნეო პარტიამ, რომელიც სახელმწიფოებრივ სოციალიზმის მომხრეა, პრეზიდენტის კანდიდატად შვედი ხრისტენსი წამოაყენა.

ქვანახშირის წარმოების გამო.

„ტაიმსი“ იუწყება: ინგლისის ქვანახშირის წარმოებაში მომხდარი კონფლიქტი ახალ ფაზაში იმყოფება. მთავრობა დათმობაზე წავიდა და ხელფასის აწევის აუცილებელ პირობათ აღარ აყენებს მემაღაროვეთა შრომის ინტენსიფიკაციას. მთავრობა მოითხოვს მხოლოდ, რომ ხელფასის მომატების რაოდენობა გამოიმუშაოს და დაადგინოს სამრეწველო პალატამ, რომელიც ხელფასის საკითხს აწესრიგებს. მუშებმა უარყვეს ეს წინადადება და მოითხოვეს, რომ ეს საკითხი თვითონ მთავრობამ გადასწყვიტოს. „ტაიმსის“ აზრით ეს მოვლენა გამოწვეულია ან მემაღაროვეთა მეტის მეტ მომატების აუცილებლობის შეგნებით, ან და ეს არის პროვოკაცია, რითაც სურთ მუშებსა და მთავრობას შორის უთანხმოების ჩამოგდება. როგორც სჩანს, უთანხმოების ჩამოგდებას ხელს უწყობს ვილაც ფარული პირები.

(გაზეთებიდან.)

რევოლიუციონური მოძრაობა პორტუგალიაში.

მადრიდიდან იტყობინებიან რომ პორტუგალიაში მოხდა გაფიცვები რომელიც უეჭველია რევოლიუციონურ ხასიათისანი არიან. გაფიცნენ ფოსტა-ტელეგრაფის, რკინის გზის და ტრამვაის მოსამსახურენი.

საშინელი ურაგანი.

შოტლანდიაში საშინელი ურაგანი მოხდა. მდინარე დიდამის ახლო-მახლო მდებარე პატარა მდინარეები გადმოვიდნენ ნაპირებიდან და მთელი გარემო ადგილები დაფარეს. ხორბლეულები დასველდა და დაიღუპა. ზარალი რამდენიმე ათი-ათასი გირვანქა სტერლინგია.

არეულობა სიცილიაში.

სიცილიაში ამ ჟამად აგრარულ ნიადაგზე დიდ არეულობას აქვს ადგილი. გლეხთა ორგანიზაციებმა დაიკავეს რამდენიმე მემამულეთა ადგილები.

მოსავალი საფრანგეთში.

საფრანგეთის მიწად-მოქმედების სამინისტროს ცნობით ხორბლეულობის მოსავალი წელს აღწევს 6, 2 მილიარდ კ. გრ. ასე რომ წლევანდელი მოსავალი გაცილებით დიდია შარშანდელთან შედარებით.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

თუთუნის წინააღმდეგ.

საბჭოთა გაზეთების ცნობით რუსეთში სანიტარულ კომისრის თვალხედვობით აკრძალულია თუთუნის მოწევა. მასწავლებლებს ევალებათ მოწაფეებს აუხსნან და განუმარტონ ჰიგიენური და სოციალური ზარალი თუთუნის მოწევის გამო. ყველა დაწესებულებებში, თეატრებში, კინოებში და ვოგზალებში სასტიკად აკრძალულია თუთუნის მოწევა. ვინც თუთუნს არ მოსწევს მას მიეცემა 50 გრამი ჩაი ან ყავა და 100 გრამი კი ტკბილეულობა.

ქაღალდის ნიაღვარი.

სახალხო ბანკის გამოანგარიშებით საბჭოთა რუსეთს ამა წლის პირველ ივლისიდან დღევანდელ დღემდე ქაღალდის ფული დაუბეჭდია 475 მილიარდი. ამ რიცხვში არ შედის ნიკოლოზის ფული და კერენკები. ამას გარდა პირველ ივლისიდან პირველ ოქტომბრამდის სოვნარკომის ბრძანებით კიდევ ამის გარდა უნდა დაბეჭდილიყო 400.000.000.000 მანეთის ქაღალდის ფული. ფული მეტად დაბალ ხარისხოვან ქაღალდზე იბეჭდება და დღითი დღე ქაღალდის ფული ნიაღვარივით იზრდება.

მუზეუმის ნაციონალიზაცია.

სარატოვის მუზეუმი, რომელიც ჩერნიშევსკის სახელობაზე არის დაფუძნებული გამოცხადებულია ნაციონალურ მუზეუმად. მუზეუმი სახალხო განათლების კომისარის განგებლობაში გადადის.

ოქტომბრის რევოლიუციის ისტორია.

სახალხო კომისრების დადგენილებით არსდება სპეციალური კომისია რომელიც გამოიკვლევს მასალებს და შეადგენს ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიას. ამავე კომისიას დაევალა შეადგინოს რუსეთის კომუნისტურ პარტიის ისტორიაც.

მეურნეობა და ვაჭრობა-მრეწველობა.

„ეკონომიჩესკაია ჟიზნის“ გადმოცემით სა-

ბჭოთა რუსეთი უდიდეს კრიზისს განიცდის როგორც მეურნეობის დარგში ისე ვაჭრობა-მრეწველობაში. რუსეთის ხალხი მეტად ჩქარი ტემპით მიემართება საშინელ კატასტროფისკენ. მეურნეობა სრულიად დანგრეულია. განადგურდა ვაჭრობა-მრეწველობაც. რუსეთის გუბერნიები, სადაც წინად პურის ბელლები იყო, დღეს საშინელ უსურსათობას განიცდიან. მაღაზიები, სადაც დიდი ვაჭრობა და მრეწველობა იყო გაჩაღებული, დღეს სრულიად მოკვდა.

ვალაშვრება ინდოეთზე.

„ტემპ"-ის ცნობით კასპიის ნაპირებზე და განსაკუთრებით კი თურქესტანში, ბალშევიკებმა თავიანთ ძალების კონცენტრაცია მოახდინეს და ინდოეთისკენ აპირებენ ვალაშვრებას. როგორც იგივე გაზეთი იტყობინება, წითელ მოსკოვს გადაუწყვეტია ახლო მომავალში უეჭველად დიდ ბრიტანეთს ომი გამოუცხადოს.

ახალი ამბები

✦ აგრონომიული სასწავლებელი აფხაზეთში მიწათ-მოქმედების მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: «აფხაზეთის მცხოვრებლებს ესმოდათ დიდი მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და ისინი დიდი ხანია სცდილობდნენ გაეხსნათ აფხაზეთში აგრონომიული სასწავლებელი. მცხოვრებთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები გვთხოვენ გადმოგცეთ გულწრფელი მადლობა აფხაზეთში აგრონომიულ სასწავლებლის გახსნის გამო. მცხოვრებლები გთხოვენ არ დაივიწყოთ ლამაზი მაგრამ ღარიბი აფხაზეთი.

✦ სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი ნ. ცინცაძე ოქტომბრის 21 გაემგზავრა პროვინციაში სამსახურის საქმეზე. პროვინციიდან იგი ნოემბრის პირველს დაბრუნდება.

✦ ჰაეროპლანების გაუმჯობესება. ავიატორმა ქებურიამ ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ საპატენტო ბიუროს გამოგონების პრივილეგიის მისაღებად წარუდგინა გეგმა ჰაეროპლანების გაუმჯობესების შესახებ. თვით პატენტსა და მის გამოგონებისაგან მიღებულ შემოსავალს ქებურია სწირავს სამშობლო ავიაციის განვითარების საქმეს. ეს შემოსავალი გადაეცემა მთავრობას.

✦ ავიაცია. სამხედრო მინისტრის ამხანაგ ოდიშელიძის ნებართვით მოეწყობა ტფილისიდან ბათომში, გადაფრენა ახლად ჩამოტანილ ჰაეროპლანების ღირსების შესამოწმებლად. ფრენა მოხდება ასეთი მარშრუტით: ტფილის-ქუთაის-ბათომი. მფრინავის გამოანგარიშებით აპარატების ესკადრილია ტფილისიდან გაფრენის შემდეგ ქუთაისში გამოჩნდება 40—50 წამს შემდეგ. აპარატები ქუთაისს გარს შემოუვლიან და შემდეგ ბათომისაკენ გაფრინდებიან. ბათომამდი გადაფრენას $1^1/_2$ საათს მოუნდება, მფრინავები თან წაიღებენ ტფილისიდან ბათომს გასაგზავნ ფოსტას.

✦ ხაჭონლის შემოტანა. სავაჭრო-სამრეწველო პალატამ დაასრულა გადახედვა იმ საქონელთა სიისა, რომელთა შემოტანა და გატანაც უნდა აიკრძალოს.

✦ მთავრობის ხტამბის გამგე გვთხოვს გამოვაცხადოთ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ სტამბაში გარდა პირველ დაწყებითი სახალხო სკოლის დროებითი პროგრამებისა (ლ. ბოცვაძის ზოგადი ახსნა განმარტებით) სხვა სკოლების პროგრამა არ მოიძებნება.

✦ კარლ კაუცკი სახ. გვარდიის შტაბში. ოქტომბრ. 23, კ. კაუცკი სახ. გვარ. მთავარ შტაბში მოვიდა, ის დიდხანს ესაუბრა ვ. ჯუღელს და შტაბის წევრებს. კ. კაუცკიმ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შტაბის სახ. სამეურნეო განყოფილებას, ამასთანავე რჩევა მისცა მათ ამ განყოფილებას დიდი ყურადღება მიაქციონ.

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კონფერენცია.

ოქტომბრის 24-ს ქალთა 1-ლ გიმნაზიის შენობაში შესდგა მასწავლებელთა კონფერენცია, ვარ. ბურჯანაძის თავმჯდომარეობით. მასწავლებელთა კომიტეტის თავმჯდომარემ მოხსენება გააკეთა კომიტეტის საქმიანობის შესახებ, საიდანაც გამოირკვა, რომ უმეტესად კომიტეტს ყურადღება მიუქცევია გამომცემლობისათვის; გამოუცია სხვა და სხვა პედაგოგიური წიგნაკები, როგორც ნათარგმნი ისე ორიგინალური, დაუარსებია საკუთარი წიგნის მაღაზია, სცემს პედაგოგიურ ორგანოს და სხვა.

კონფერენციამ განიხილა საკითხი მასწავლებელთა დღევანდელი უნუგეშო ნივთიერ მდგომარეობის შესახებ. ყველა ორატორებმა აღნიშნეს ის მძიმე ეკონომიური პირობები რომელშიაც დღეს მასწავლებლებს უხდება მუშაობა. გამოითქვა სურვილი, რათა გადიდებულ იქნას ყველა ტიპის სასწავლებლებში სწავლის ფული, რათა საშუალება მიეცეთ მასწავლებლებს სასწავლებლის საკუთარ შემოსავლიდან მიიღოს დახმარება.

დღეს, როგორც ყველა სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთა, ისე მასწავლებლის მდგომარეობაც განსაკუთრებით მეტად მძიმეა, მაგრამ ამას იტანს დღეს მთელი საქართველოს მუშათა კლასი რესპუბლიკის კეთილდღეობისა და მთლიანობის დასაცავად. მასწავლებლობა ეს ერთი მოწინავე ელემენტია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ამისათვის მას მეტი მოთმინება მართებს სახელმწიფოს კეთილდღეობისა და მთლიანობის დასაცავად და ამ მხრივ არც გვეთქმის საყვედური მასწავლებლების წინააღმდეგ. ისინი გმირულად იტანენ ყოველგვარ გაჭირვებას; მასწავლებლის მდგომარეობა, მისი შრომის პირობები მოითხოვს, რომ ის სხვა სახელმწიფო მოხელეზე უფრო უკეთეს პირობებში ოფოს ჩაყენებული ნივთიერად, ეს კარგად ესმის ჩვენ მთავრობასაც, მაგრამ დღეს ეკონომიურად ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაშია სახელმწიფო, რომ ყოველივე ეს მხოლოდ კეთილ სურვილებად რჩება. დასახელებული საშუალება სწავლის ფულის მომატების შესახებ არ მიგვაჩნია მიზან-შეწონილად, ის სრულიადაც ვერ დაეხმარება მალამოდ მასწავლებლის ეკონომიურ ტკივილებს. ეს მომატება უმეტესად ისევ იმ მშრომელ კლასს დააწვება კისრად, რომელიც ისეთივე მდგომარეობაში იმყოფება, როგორც მასწავლებლები; და გარდა ამისა, დღეს ყველა დარგის მუშაკი დარწმუნდა, რომ ბონების მომატებაში ალარ არის ხსნა, პირიქით ბონების სიმრავლე კიდევ უფრო აჯოჯოხეთებს ეკონომიურ მდგომარეობას; საჭიროა სხვა ზომები, ეკონომიურმა თათბირმა ეს ზომები უკვე შეიმუშავა, საჭიროა მხოლოდ მისი ცხოვრებაში გატარება, რის შემდეგ ვფიქრობთ, როგორც მასწავლებლის, ისე საერთოდ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდება. ყველა უნდა ვცდილობდეთ ამ ზომების პრაქტიკაში გატარებას. (ეკონომიურ თათბირზე მიღებული რეზოლიუცია, სადაც ჩამოთვლილია მთელი რიგი ზომებისა, ხვალინდელ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება).

ამ ზომების მიღებამდე კი აუცილებელი საჭიროა მასწავლებელს მიეცეს ნატურით ისეთივე დახმარება, რომელსაც ღებულობს ტფილისში მყოფი სახელმწიფო მოხელე; ეს საქმე უნდა მოწესრიგდეს როგორც რესპუბლიკის ქალაქებში, ისე სოფლებში; ამ შემთხვევაში დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლია ერობებს და თემებს; მათ ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ მათ რაიონში მყოფ მასწავლებლებს, ამას მოითხოვს მათგან მათი მომავალი თაობის ბედი და სახელმწიფოს დღევანდელი მძიმე ეკონომიური პირობები.

მასწავლებელთა კონფერენციას ჯერ რეზოლიუციაა არ გამოუტანია, კიდევ გრძელდება თათბირი, მაგრამ ჩვენ წინასწარ დარწმუნებული ვართ, რომ მასწავლებლობა ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯს არასოდეს არ გადადგამს.

X.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა.

ოქტომბრის 24 სახალხო სახლში ზეიმით გაიხსნა სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა. გარედან სახალხო სახლი მორთულია გირლიანდებითა და ეროვნული და წითელ დროშებით. სცენაც მორთულია მწვანეებით, ხალიჩებით და სოც.-ბმირების სურათებით. აივანზე გვარდიის დივიზიონის ორკესტრი სდგას. დილის 11 საათზე შეიკრიბენ ყრილობის წევრები, მოვიდენ მთავრ. ბის, დამფუძნებელი კრების წევრები, ქალ. ა ერობათა წარმომადგენლები. დამსწრეთა შორის იყვენ: დამფუძ. კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. მდივანი, კ. ჯაფარიძე, ა. ჩხენკელი, ი. რამიშვილი, შინ. საქ. მინისტრი ნ. რამიშვილი, საგ. საქ. მინისტრის ამხ. ქარცივაძე და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი ვ. ჯუღელის მეთაურობით. 12 საათზე ვ. ჯუღელი კრებას გახსნილად აცხადებს და წინადადებას იძლევა აირჩიონ თავმჯდომარე. ორკესტრმა ინტერნაციონალი შეასრულა. შემდეგ თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩიეს ქალაქთა კავშირის თავმჯ. ნ. ელიავა.

ნ. ელიავამ კრებას მადლობა გამოუცხადა ამ ნდობისა და პატივისცემისათვის. ნ. ელიავა ლაპარაკობს, რომ ის ყოველთვის მზათ იყო ემსახურა სახალხო გვარდიისათვის და ეხლაც, როგორც თავმჯდომარე, წმინდათ აღასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ელიავას ლაპარაკის დროს დარბაზში შემოვიდა კ. კაუცკი, რომელსაც ოვაციებით შეხვდენ. კაუცკიმ ყრილობის წევრებს მოკლე მისალმებით მიმართა. შემდეგ ელიავამ განაგრძო თავისი სიტყვა, მან აღნიშნა, რომ სახალხო გვარდია მომავალშიაც ემსახურება არა მარტო სამშობლოს დაცვას, არამედ გააძლიერებს თავის სამეურნეო მოღვაწეობას. სიტყვის დასასრულს მან დამსწრეთ სთხოვა დახოცილ გვარდიელთათვის პატივი ეცათ ფეხზე ადგომით. ყრილობის წევრები ფეხზე სდგებიან და ორკესტრი სამგლოვიარო მარშს უკრავს. შემდეგ ნ. ელიავას წინადადებით საპატიო თავმჯდომარეთ ირჩევენ კ. კაუცკის და ნოე ჟორდანიას. კ. კაუცკი გვარდიის ნიშანს გულზე იბნევს.

ურთიერთი მისალმების შემდეგ სიტყვას ამბობს კაუცკი:—მე ვამაყობ, რომ ვარ იმ ორგანიზაციის წევრი, რომლის ნიშანიც გულზედ მაქვს. კარლ კაუცკი ხაზს უსვამს იმას, რომ არ არის ძველი ჯარის დისციპლინა. შექმნილა ახალი დისციპლინა, დისციპლინა სულისა, რომელიც მაგალითი იქნება მთელი საზოგადოებისათვის. უდიდესი დამპყრობელნი, როგორც ნაპალეონი, კრომველი და სხვ. მით იყვნენ ძლიერნი, რომ უფრო ორგანიზატორებს და შემოქმედთ წარმოადგენდნენ, რომ შეეძლოთ არა მარტო დაპყრობა, არამედ შეეძლოთ შეექმნათ აუცილებელი სამეურნეო საფუძველი. ჩვენ თეორეტიულად ვამზადებთ ნიადაგს, მის განხორციელებას კი ჩვენ ვანდობთ საქმის ხალხს, რომელსაც წარმოადგენთ თქვენ, სახალხო გვარდიელნი.

სახალხო გვარდია ყურადღებას აქცევს საქმის არა მარტო სამხედრო მხარეს, არამედ ეკონომიურსაც და ამით თქვენ საზოგადოებას უახლოვებთ სოციალიზმსო. კაუტსკის სიტყვის შემდეგ ორკესტრმა მარსელიოზა შეასრულა. დიმფ. კრ. სახელით მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ს. მდივანმა. ის გამოსთქვამს სურვილს, რომ სახალხო გვარ. ისე წმინდათ და პატიოსნათ შეასრულეს სამშობლოს დაცვის საქმეს, როგორც მას დღემდე ასრულებდა. დამფ. კრებას იმედი აქვს სახალ. გვარდიისა და უსურვებს მას გამარჯვებას. შემდეგ მთავრობის სახელით კრებას მიესალმა მინ რამიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ მთავრობა ყოველთვის დიდის ნდობით უცქერდა სახალხო გვარდიას და რომ მას სწამს იგი როგორც ძალა, რომელიც მუდამ მზად არის სამშობლოს დასაცავათ, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრისაგან. დასასრულ რამიშვილმა აღნიშნა, რომ სახ. გვარ. დამცველია არა მარტო მუშათა კლასისა, არამედ იგი წარმოადგენს სოციალიზმის მოცი ულს. ყრილობას მიესალმა აკ. ჩხენკელი. მან სთქვა. რომ დამ. კრებ. სამხედრო კომასიამ დაავალა მას მიესალმოს სახ. გვარდიას, მაგრამ ის. იმავ დროს მიესალმება შემდ. ორგან. სახელით: დამფ. კრებ. სოც დემ. ფრაქციის, ს. ს. დ. მ. პარტიის ტფილისის კომიტეტის. პროფ. კავშ. ცენტრ. კომიტეტის თბ-ქალ. თვითმმართველობის ქალაქთა კავშირის, კოოპერატივთა კავშირის, ს. რ. კომიტეტის, ს. ფ. კომიტეტის და სხვა სახელით. თავის სიტყვაში აკ. ჩხენკელმა აღნიშნა, რომ ჯარი და გვარდია სახელმწიფოსთვის წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც იცავს სახელმწიფოს ინტერესებს და წმიდათ ასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე. იყო შემთხვევა, როდესაც მათ შეიძლება ბევრი რამ აკლდათ, მაგრამ ისინი მაინც პატიოსნათ ასრულებდენ თავის მოვალეობას. დასასრულ აკ. ჩხენკელმა უსურვა ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა. სხდომის შეწყვეტის შემდეგ დაიწყო ყრილობის საქმიანი მუშაობა. თავმჯდომარის შემდეგ აირჩიეს თავმჯდ. ამხანაგები და მდივნები, მიიღეს რეგლამენტი და დღის წესრიგი, თავმჯდომარის ამხან. აირჩიეს მ-ქ. ჭუმბურიძე და ფარქოსაძე. მდივნებათ ბრუხაძე, ჩხეიძე და ბეჟუნაშვილი. დღის წესრიგი მიიღეს შეუცვლელად, გარდა მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას მოხსენებისა, რომელიც ნ. ჟორდანიას ავადმყოფობის გამო სამშაბათისთვის გადაიდო. მთავარი შტაბის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ვ. ჯუღელმა მი ხსენების პირველ ნაწილში აღნიშნულია გვარდიის მიზნები და მისწრაფებები, მეორე ნაწილი კი გვარდიის საფრონტო ცხოვრებას ეხება. ძველი არმია, სთქვა მან, სახელმწიფოს დიდი ფული დაუჯდა და იგი ხალხის წინააღმდეგ მიდიოდა. საქართველოს კი სურს შეჰქმნას ისეთი მდგომარეობა, როდესაც ხალხმა არ უნდა იგრძნოს მილიტარისტულ ხარჯების ულელი. ამისათვის გაკეთებულია ყოველივე, რაც შესაძლებელი იყო. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულია მომარაგების საქმეზე. ყარაიაზის ოლქში ჩვენი სამეურნეო მუშაობის შედეგები მნიშვნელოვანია. სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული კულტურულ საქმესაც. სამწუხაროდ გარეშე პიროვნები ხშირად გვიშლიან ხელს და ამიტომ ხელში იარაღს ვიღებდით. სახალხო გვარდია ყოველთვის ზრუნავდა თავის წევრების ზნეობრივ სიწმინდეზე და მომავალშიაც მკაცრ ზომებს მიიღებს იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომელნიც სახალხო გვარდიის პატიოსნებას რაიმე მოქმედებით ჩირქს მოსცხებენ. ჯუღელის მოხსენების შემდეგ ყრილობის თავმჯდომარემ განაცხადა: შემდეგი სხდომა ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგებაო.

ბათომი

18 ოქტომბერს სახელმწიფო ბანკის განყოფილებამ დაიწყო თავისი ფუნქციები. ბანკთან დაარსდა სავალიუტო კომიტეტი. კომიტეტი უმთავრესად ხელს შეუწყობს იმ პირთ, ვინც დაინტერესებულია უცხო ვალიუტის შეძენით.

— ბათომის ოლქის განაპირა კუთხეებმა ჭაობის და ლიმან გოლეს საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის საბჭოს წინაშე, რათა ისინი მიაწეონ ქალაქ ბათომს. ასეთი შუამდგომლობით არა ერთხელ მიუმართავთ მცხოვრებლებს ბათომისთვის, რადგან ისინი ბათომის ცენტრს და კულტურულ ცხოვრებას მოწყვეტილნი იყვნენ.

— ბათომის სამოქალაქო საავადმყოფოში 18 ოქტომბერიდან დღევანდლამდის ავადმყოფთა რიცხვი აღწევდა 70 სულს. აქედან ქალები 31 იყო დანარჩენი მამაკაცები. ავამყოფები სხვა და სხვა სენით არიან ავად. უფრო სჭარბობს მუცლის სახადი.

— ამ დღეებში ბათომში ჩამოვიდა სომხეთის მიერ გამოგზავნილი ექ. ხარაზიანი რომელსაც დავალებული აქვს სომხეთის ლტოლვილებს დახმარება აღმოუჩინოს. ლტოლვილთა შორის შავი ჭირი მძვინვარებს. ავადმყოფთათვის მოწყობილი იქნება ბარაკები.

— ბათომში ჩამოვიდა გემი „ამვროსი" რუსეთის დროშით. გემმა ჩამოიტა 18750 ფუთი ხორბალი. ამ დღეებში გემი გაბრუნდება კონსტანტინოპოლში. მოელიან ამ დღეებში საზოგადოება "კავკაზ" და მერკურის" გემებს, რომელთაც დიდძალი საქონელი უნდა ჩამოიტანოს საზღვარ-გარეთიდან.

— კვირას 17-ს ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე ბათომიდან ბელგიაში გაემგზავრნენ პროფესორი დე-ბრიუკერი და ქ-ნი გიუსმანსი. მათ გასაცილებლად სადგურზე მოვიდნენ: დამფუძნებელ კრების წევრი ა. ჩხენკელი, გენერალი მდივანი, ადმინისტრაციის ინსპექტორი პოლკოვნიკი სულაქველიძე, ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელნი: ო. რამიშვილი, ზ. აბაშიძე და კ. გოგოლაძე, პროფესიონალურ კავშირის საბჭოს თავმჯდომარე გ. აიოლო, მეჯლისის თავმჯდომარე მ. აბაშიძე, შრომის კომისარი ა. წულაძე და ბევრი პატივსაცემლათ მოსული საზოგადოება.

— საოლქო ინჟინერ გეორგობიანის ხელმძღვანელობით გაყვანილი იქნება სოფელ ქოროლის-თავში დიდი ხიდი. ხიდის გეგმა უკვე შედგენილია და მალეც შეუდგებიან მუშაობასაც.

რკინის გზაზე

სამგზავრო მატარებელთა რიცხვის შემცირების გამო 17 ოქტომბრიდან №№ 21 და 22 მატარებლებზე სამგზავრო ბილეთების ყიდვა დაიწყო, რაც დიდი შეღავათია მგზავრებისათვის. სამწუხაროდ, ეს მატარებლები ბაქნებზე არ ჩერდება; თუ თბილისიდან ბათუმამდე ყველა ბაქნებზე ამ მატარებლების გაჩერება შეუძლებელია, ეს მოსახერხებელია მაინც ხარაგოულსა და სამტრედიას შუა მდებარე ბაქნებისთვის, რადგან მხოლოთ ეს მატარებლები დადიან ამ რაიონში დღისით და მაშასადამე, სოფლებს უფრო ამ მატარებლებით სარგებლობა შეუძლიათ.

თ. **მანჯავიძე.**

სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო-საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების სასამართლო სხდომაში 1920 წ. ოქტომბრის 28 დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

საქმე № 67 მაგიდა 2. საკასაციო საჩივარი ტიტე მალაქიას ძე ალფაიძესი, ქუთაისის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის 1919 წ. 26 დეკემბრის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული ალფაიძე ცნობილია დამნაშავედ რაჟდენ ალფაიძის ცილის წამებაში და თანახმად 119 მუხ. ს. ს. წ. წ. და 136 მუხ. სასჯ. წეს. მისჯილი აქვს 1 თვით პატიმართა სახლში დაპატიმრება.

საქმე № 79 მაგიდა 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ ვლადიმერ წერეთლის, ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავედ 9 და 1 ნაწ. 1455 მუხ. აღნიშნულ სასჯელთა დებულების ბოროტმოქმედებაში.

საქმე № 81 მაგიდა 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ ამბროსი ივანეს ძე ბურკაძისა, ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1920 წ. 19 აპრილის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული ბურკაძე ცნობილია დამნაშავედ თანახმად 1513 მუხ. სასჯ. დებ.

საქმე № 85 მაგიდა 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ ვლადიმერ თევდორეს ძე ყუფარაძის დამკველის ნაფ. ვექ. შ. ვლადიმერის ძე ალექსი მესხიშვილისა ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებული დამნაშავედ არის ცნობილი თანახმად 2 ნაწ. 1455 მუხ. სასჯ. დებ.

საქმე № 121 მაგიდა 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ ივანე აბრამიშვილისა, ტფილისის საოლქო სასამართლოს განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავედ სასჯ. დებ. 995 მუხ. და სხვ. მ. მ. აღნიშნულ ბოროტმოქმედებაში.

საქართველოს სენატის სამოქალაქო-საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების 1920 წ. ოქტომბრის 29, სხდომაზე განსახილველად დანიშნულ საქმეთა სია:

(სხდომის გახსნა დილის ათ საათზე).

1. საქმე მელქონ ელალოვის აზოვო-დონის საკომერციო ბანკის ტფილისის განყოფილებასთან ფულების თაობაზე.

2. საქმე მიწად-მოქმედების სამინისტროსი დავით სტეფანოვთან ზარალის ანაზღაურების თაობაზე.

3. საქმე ევდოკია სოსინის ისმაილ კილაძესთან ნასყიდობის სიგელის გაბათილების თაობაზე.

4. საქმე ევგენი, ნადეჟდა, ვასილი, გრიგოლი, ნატალია და ბარბალე ტოლპიგების და მარიამ პარეგენტანიანი გარდაცვალებულ ელისაბედ მამინოვის ქონებაზე უფლების დამტკიცების თაობაზე.

5. საქმე ბორის ალექსანდროვსკის ევგენია პეტიკთან, კონსტანტინე ჟუკოვსკთან და ინოკენტი დამასკინთან ბინის თაობაზე.

6. საქმე არჩილ ქველაძის ირაკლი, აფრასიონ, ერმალოზ და კალენიკე პირველაშვილებთან გზის გაფართოების თაობაზე.

7. საქმე დიმიტრი პატარაიასი მელანია ანჩიბაძესთან მამულიდან გაძევების თაობაზე.

8. საქმე ივანე ოტიაშვილის ალექსი და გიორგი ხმალაძეებთან მიწის დარღვეულ მფლობელობის აღდგენის თაობაზე.

9. საქმე ალექსანდრე სოსელის ვარლამ რუხაძესთან ბინის დაცლის თაობაზე.

10. საქმე ნიკიტა ტერეშჩენკოს ალექსი ბელიავსკისთან ფულების თაობაზე.

11. საქმე მიხეილ ჩეკულავასი ანასტასია ჩეკულავასთან სახლზე საკუთრების უფლების თაობაზე.

12. საქმე დიმიტრი წიქორიშვილის გიგო და სანდრო ლომსაძეებთან უფლების თაობაზე.

ხელოვნება

ი. მერის (ჩიკვაიძის) კონცერტი.

შაბათს, 30 ოქტომბერს, კონსერვატორიის დარბაზში შესდგება მომღერალ ქალის იულია მერის (ჩიკვაიძის) კონცერტი. იულია მერის გარდა კონცერტში მონაწილეობას მიიღებს პიანისტი საფონოვი.

დ. კლდიაშვილის საღამო.

ხუთშაბათს, 28 ოქტომბერს, სახელმწიფო დრამის თეატრში შესდგება დ. კლდიაშვილის საღამო. წარმოდგენილი იქნება დ. კლდიაშვილის კომედიები „დარისპანის გასაპირი“ და „ირინეს ბედნიერება“. პიესებისთვის დახატულია ახალი დეკორაციები და შეკერილია ახალი ტანსაცმელი. პიესები იდგმება სრულიად ახალ მიზან-სცენებით.

მილიციაში

ნივთების მყიდველთა საყურადღებოთ.

სისხლის სამ. მილიციის უფროსი შემდეგს აცხადებს ნივთების მყიდველთა საყურადღებოთ: გამოცდილებამ არა ერთხელ დაგვანახა, რომ სისხლის სამართლის მილიციაში არის ხოლმე ისეთი შემთხვევები, როდესაც რომელიმე მოვაჭრე განსაკუთრებირებით კი მაღაზიის მეპატრონეები, ოქრო-მჭედლები, კამისიონიორები, ნოხებით მოვაჭრენი და საზოგადოთ ყველა ოქრო ვერცხლეულობით მოვაჭრენი, ყიდულობენ ხოლმე ნაქურდალ ნივთებს უცნობ პირებისაგან, რომლიდანაც არ თხოულობენ არავითარ საბუთებს, და მხოლოდ დათანხმდებიან ხოლმე მარტო ხელწერილის ჩამორთმევით, რომელზედაც ხშირად გამოგონილ გვარებს აწერენ, რითაც სისხლის სამართლის მილიციის მოხელეები შეყავთ შეცდომაში და შეუძლებელი უხდებათ ზემოხსენებული ნაქურდალი ნივთების გამყიდველების აღმოჩენა, და ამით ხელს უშლის ქურდობის აღმოჩენას.

ამიტომ, რომ არ განმეორდეს ამისდაგვარად შემთხვევები, წინადადებას ვაძლევ ყველა მაღაზიის მეპატრონეებს შეიძინონ წიგნი, რომელშიაც ჩაიწერება ნაყიდი ნივთები და აგრეთვე სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი ნივთების გამყიდველ პირებისა, მისი საბუთების მიხედვით.

ამასთანავე ვაფრთხილებ, რომ დამრღვევნი პირები ამა ჩემი განცხადებისა, რომლებიც გარდა იმისა რომ იქნებიან მიცემულნი პასუხისგებაში აგრეთვე დაისჯებიან ჩემ მიერ ადმინისტრატიული წესით.

სისხლის სამართლის მილიციის

უფროსი **ფაჩულია.**

ბოროტ-მოქმედ მილიციელების დაპატიმრება.

ტფილისის მაზრის მილიციის უფროსის ბრძანებით დათხოვნილნი არიან სამსახურიდან და პასუხისგებაში მიცემულნი სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენისათვის: სართიჭალის უბნის უფროსი მილიციონერი დავით მომცემლიძე, მარტყოფის უბნის უფროსი მილიციონერი მიხეილ ოქროპირიძე, უმცროსი მილიციონერები: ასურეთის უბნისა ავეტიკა შალამოვი და სართიჭალის უბნისა მამედ ფაშას ოღლი—ტუსაღების გაშვებისათვის—და სართიჭალის უბნისა—ფაშა ალაპკერ ოღლი მკვლელობისათვის—უკანასკნელი სამი მოთავსებული არიან ტფილისის საპყრობილეში.

მავნე ელემენტები.

იმავე მილიციის უფროსმა ადმინისტრატიული წესით დააპატიმრა: 1) მამედ სულეიმან ოღლი, 2) ხალი ალი ოღლი, 3) ფირუზ ყაითმაზოვი, 4) დავით ყურბანიშვილი, 5) იოსებ კოლაშვილი, 6) სოლომონ კონიაშვილი, 7) ქიახუმ ისმაილ ოღლი და 8) მაგრამ ალი ოღლი, როგორც საზოგადოებისათვის მავნე ელემენტები.

ზანცხადებანი

დაიკარგა საოჯახო უვადო პასპორტი № 2706. მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 7 ივნის 1911 წ. მაშადი ისრაფილ მაშადუ აბას ოღლი გუსეინოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3298 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 146 მიღებული რაჭის მაზრის წესის საზოგადოების კომისრისაგან, მეტრიკა მიღებული ს. წესში. სარეგისტრაციო ბარათი მიღებული ტფ. სამხედრო უფროსისაგან ევგენია რომანოსის ძე კერესელიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3300 3—3

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში ივანე სიმონის ძე კაკუტაშვილმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი მარიამ სტეფანეს ასული კაკუტაშვილისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1903 წ. უკვალოდ დაიკარგა 1908 წ. ყველა ვინც იცის მარიამ სტეფანეს ასული კაკუტაშვილის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 3307 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ბორის სანხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, პასპორტი, მიღებული ცხინვალის კომისრისაგან, მეტრიკული, მოწმობა და საბარგო კვიტანცია შაულ დავითის დედიაშვილს სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 8254 3—3

იუსუფ ნაგი ოღლი ნაგიევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიცემული ტფილისის პოლიცმეისტრის მიერ 1909 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3203 3—3

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში კლიმენტი ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ევდოკია მიხეილის ასული ბელიაზეროვის ქალი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1912 წ. უკვალოდ დაიკარგა 1916 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგულ ევდოკია ლორთქიფანიძის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის მისამართი დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 3280 3—3

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ვასილ დიმიტრისიძე კოსატოვმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი დარია მიხეილ მოსევნიკოვის ასული, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1902 წ. უკვალოდ დაიკარგა 1900 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგული დარია კოსატოვის მისამართი ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის მისამართი დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 3282 3—3

დაიკარგა პასპორტი № 593 კლავდია ლეონტის ასული ვორონოვის სახელზე, მიღებული საქართველოს საკონსულოდან როსტოვში 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3291 3—3

დაიკარგა მატრიკული, მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მარიამ იოსების ასულის ბალანჩივაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—2 (უფ.)

დაიკარგა ჯარში გასაწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 111 არტაშა ბაგრატის ძე დოფიევის სახელზე, მიღებული ტფ. მე-7 უბნის კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3278 3—3

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა ალექსანდრე ზალინიანის სახელზე, მიღებული ტფ. მეორე გიმნაზიიდან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3279 3—3

დაიკარგა მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და მეტრიკული მოწმობა სარქის კარაპეტის ძე ვართანოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3281 3—3

დაიკარგა პასპორტი № 664 ივანე მარდანოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3162 3—3

დაიკარგა ქუთაისის ყოფილ წმ. ნინოს სასწავლებლის დასრულების ატესტატი № 252 და დიპლომი № 275 1914 და 1915 წ. და მეტრიკული ამონაწერი, თამარა პავლეს ასული ჩილინგარაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3271 3—3

რწმუნება მიცემული ტიგრან თადოვარის ძე ხაჩატუროვის მიერ სერგო თადეოსის ძე ხაჩატუროვზე და დამტკიცებული ტფ. ნოტარიუს მიტკევიჩის მიერ რეესტრით № 5040 გაუქმებულად ჩაითვალოს. 3198 3—3

დაიკარგა სამსახურის ნუსხა ირაკლი ლევანის ძე ზაალიშვილის სახელზე, მიღებული სახალხო გვარდიის ცხენოსანთა პოლკიდან და ორი თვის შვებულების მოწმობა, მიღებული 1 ცხენოსანთა პოლკიდან. გაუქმებულად ჩაითვლება. 3205 3—3

დაიკარგა პასპორტი გრიგორი ოვანესას ძე მირზოიანცის სახელზე, მიღებული განჯაში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3252 3—3

დაიკარგა ატესტატი ოთხი კლასის დამთავრების № 120, მიღებული ვანის (ქუთ. მაზ.) უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლიდან და მეტრიკული ამოწერილობა საბეკის ღვთისმშობლის ეკლესიიდან ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე გიორგაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვლება. 3202 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის სამართველოდან, სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა. მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და მეტრიკა იოსებ აბრამის ძე დუდაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვლება. 3201 3—3

დაიკარგა პასპორტი № 809, თადეოზ ივანეს ძე კაზმარაროვის სახელზე, მიღებული ახალციხის მდაბიო მოქალაქეთა სამართველოდან 1907 წ. გაუქმებულად ჩაითვლება. 3191 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 514, ლევან პანტელის ძე ლომიძის სახელზე, მიღებული სიღნაღის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვლება. 3204 3—3

დაიკარგა ქუთაისის სახაზინო ქალთა გიმნაზიის 7 კლასის დასრულების მოწმობა 1915 წლისა და მეტრიკული ამონაწერი ვერა ალექსის ასული კოსტოვას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—3

დაიკარგა პასპორტი სირაჯუტინ გაჯის ძე ამინტაევის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1908 წ. და სხვა საჭირო საბუთები გაუქმებულად ჩაითვალოს. 3219 3—3

დაიკარგა მოწმობა მიცემული ტფილისის სამხედრო უფროსისგან 6 ოქტომბერს 1920 წელს № 7049 ლეიტენანტ ძიძიკაშვილის სათადარიგო ჯარში გადარიცხვის შესახებ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3350 3—1

დაიკარგა ტფილის. ვაჭართა ბანკის ორი აქციების ორი დროებითი მოწმობა ალიევ მამედ ალი გაჯი ალასკერ ოღლის სახელზე, ერთი მიღებული 1917 წ. 6 ოქტომბერს № 477 მეორე გამოცემის ათ აქციაზე და მეორე 1918 წ. 31 დეკემბერს № 1759 მესამე გამოცემისა ათ აქციაზე. აღნიშნული მოწმობები გაუქმებულად ითვლებიან და მპოვნელი ვალდებული წარმოადგინოს ტფ. ვაჭართა ბანკის გამგეობაში. 3344 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ლევ ისაის ძე ლიხტენშტეინის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3337 3—1

დაიკარგა ვადა გასული პირადობის მოწმობა ალექსი თედორეს ძე ჯიოშვილის სახელზე, მიღებული ცხინვალის კომისრისაგან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3339 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი მოსეს ეკზარის ძე დანიელოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3340 3—1

დაიკარგა პასპორტი ლიუდვიგ მარტინის ძე მარგულეცის სახელზე მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3345 3—1

დაიკარგა პასპორტი მანიაკ არტემის ასული საკოვის სახელზე, მიღებული ქ. სიღნაღიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3346 3—1

დაიკარგა ტრამვაის ბილეთი სურათით № 632 იულია დარახველიძის ასულის სახელზე, მიღებული ტდ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3347 3—1

დაიკარგა პასპორტი № 1272 მაქსიმილიანე ეგნატეს ძე რეშბერგის სახელზე, მიღებული ქ. კიევში. 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3349 3—1

საქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის პატრონს გიორგი დავითის ძე ნარიაშვილს დაუკარგავს ღვინის შეძენის ნებართვა მიცემული საქციზო სამმართველოს მიერ 1920 წლისათვის 17 თებერვალს 1920 წ. № 820. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3336 3—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. **გრიგოლ მაჭავარიანი.**